



„საქართველოს ახალგაზრდა ელჩეების პროგრამა“

იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი !



1. პროგრამის აღწერა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს 2014 წლისთვის წარმოადგენს საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებთან ურთიერთობის განვითარება. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა“.

პროექტის საშუალებით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ, შესაძლებლობა მიეცემათ ერთწლიანი მანდატით გახდნენ „ახალგაზრდა ელჩები“ ადგილსამყოფელ ქვეყნებში და მოახდინონ მათი თანატოლი ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების ინფორმირება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და ისტორიის შესახებ.

„ახალგაზრდა ელჩების“ მთავარი ამოცანა არის იმ კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანს საქართველოს პოპულარიზაცია წარმოადგენს. ამ პროექტებში მონაწილე ახალგაზრდებისაგან ჩამოყალიბდება **საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელი**.

აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიეცემა საშუალება მჭიდრო კავშირი დაამყაროს დიასპორების ახალგაზრდა წარმომადგენლებთან და მათ უფრო მეტად შეუწყოს ხელი კულტურულ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და ინიციატივების განხორციელებაში.

„ახალგაზრდა ელჩებს“ სპეციალურად შექმნილი კომისია შეარჩევს. კომისიის წევრები არიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები.

პროგრამის მხარდამჭერია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.



2. „ახალგაზრდა ელჩების“ მიზანი

„ახალგაზრდა ელჩების“ მიზანს წარმოადგენს ურთიერთობის განვითარება საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამ მიზნის მისაღწევად თითოეული მათგანი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომლის პრეზენტაციაც გაიმართება თბილისში „ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალზე“.

შერჩეულ „ახალგაზრდა ელჩებს“, წინასწარ შედგენილი პროგრამისა და საკუთარი ინიციატივების საფუძველზე, საშუალება მიეცემათ განახორციელონ სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი, სპორტული, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ქართველი და უცხოელი ახალგაზრდები. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდებისაგან შეიქმნება **საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელი**.

განსახორციელებელი პროექტების შერჩევისას, პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს გაცნობითი ხასიათის შეკრებები, კონფერენციები, გამოფენები და საქართველოში გატარებული რეფორმების ამსახველი პრეზენტაციები.

გარდა ამისა, შერჩეული „ახალგაზრდა ელჩების“ დახმარებით, შეიქმნება საზღვარგარეთ მცხოვრები საზოგადოებრივად აქტიური და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ახალგაზრდების ერთიანი ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში დამსაქმებლის დაინტერესებას.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდება „გლობალური ქსელის“ ბაზაზე, რომელიც წარმოადგენს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მასშტაბურ პროექტს. პროექტი ითვალისწინებს ქართული დიასპორისთვის გლობალური სოციალური ქსელის შექმნას, რომლის მეშვეობითაც გამარტივდება ურთიერთობა ჩვენს თანამემამულეებთან მსოფლიოს მასშტაბით. აღნიშნული ქსელის ფარგლებში შეიქმნება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფი, მათ შორის ახალგაზრდული ჯგუფიც, რაც საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს გაუადვილებს საქართველოს სახელმწიფოსთან და ერთმანეთთან ურთიერთობას.

სახელმწიფო ორგანიზაციებს საშუალება მიეცემათ აღმოაჩინონ საზოგადოებრივად აქტიური და ორგანიზაციული ნიჭის მქონე ახალგაზრდები, რომლებსაც ექნებათ უცხოელ თანატოლებთან საქმიანი ურთიერთობის გამოცდილება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

„ახალგაზრდა ელჩები“ ყოველთვიურად წარმოადგენენ მათ მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.